

შ.პ.ს. "DMS"

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

შპს "DMS"

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	6

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	2017	2018	2019
საინვესტიციო ქონება			
გრძელვადიანი მოთხოვნები (გადავადებული საგადასახადო აქტივები)			
ძირითადი საშუალებები	1746013.21	1724267.18	1752220.77
არამატერიალური აქტივები			
გრძელვადიანი ინვესტიციები			
სულ გრძელვადიანი აქტივები	1746013.21	1724267.18	1752220.77
გადახდილი ავანსები	49578.64	21368.85	493127.12
ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი თანხები		66604.63	
დარიცხული მოთხოვნები (მისაღები პროცენტები)		20796.81	155.99
სხვა მოკლევადიანი აქტივები	3260.64	3260.64	3260.64
მარაგები და დაუმთავრებელი მშენებლობა	313667	47200	64740
სხვა გასაყიდი საქონელი			
დებიტორული დავალიანება	522642.17	4630881.38	2421588.45
მიმდინარე სასესხო მოთხოვნა		3953560	
ფულადი სახსრები	820908.19	39061.26	568858.25
სულ მიმდინარე აქტივები	1710056.64	8782733.57	3551730.45
სულ მთლიანი აქტივები	3456069.85	10507000.75	5303951.22
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11923	11923	10000.61
გადაფასების რეზერვი			
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი	57796.90	1066621.12	1055424.62
მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალი			
სულ კაპიტალი	69719.9	1078544.12	1065425.23
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება			
მიღებული ავანსი	2329648.89	1566301.02	2084.95
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	2329648.89	1566301.02	2084.95
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტ. დავალიანება	103671.59	1048715.9	629522.29
საბიუჯეტო გადასახდელები	165540.09		14572.02
გადასახდელი სესხის პროცენტი	105.14	15148.59	105.14
ვალდებულება პერსონალის წინაშე		600	1186
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	787384.24	6797691.12	3591055.59

შპს "DMS"

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1056701.06	7862155.61	4236441.04
სულ ვალდებულებები	3386349.95	9428456.63	4238525.99
სულ კაპიტალი და ვალდებულება	3456069.85	10507000.75	5303951.22

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 02 სექტემბერს.

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი: -



შპს "DMS"

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	2018	2019
შემოსავალი რეალიზაციიდან	11732118.51	6071970.86
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(9369669.02)	(5275436.41)
საერთო მოგება	2362449.49	796534.45
ადმინისტრაციული ხარჯები	(415027.42)	(362115.86)
მიწოდების ხარჯები		
სხვა საერთო საოპერაციო ხარჯები	(298927.01)	(472257.47)
საოპერაციო ხარჯები	(713954.43)	(834373.33)
საოპერაციო მოგება	1648495.06	(37838.88)
არასაოპერაციო შემოსავალი	68355.01	193715.75
არასაოპერაციო ხარჯი		
ფინანსური შემოსავალი		
ფინანსური ხარჯი	(108025.85)	(152073.37)
წმინდა ფინანსური შედეგი	(39670.84)	41642.38
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე	1608824.22	3803.50
მოგების გადასახადი (ხარჯი)/სარგებელი		0.00
მოგება დაბეგვრის შემდგომ	1608824.22	3803.50
სხვა სრული შემოსავალი		
გადაფასების რეზერვი		
სრული შემოსავლის წლიური ჯამი	1608824.22	3803.50

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 02 სექტემბერს.

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი: -



შპს "DMS"

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრისათვის	11923	57796.9	69719.9
2017წ. გახსნითი კორექტირების საფუძველზე კაპიტალის კორექტირება			0
კაპიტალის ცვლილება			0
გაცემული/მიღებული დივიდენდი		-600000	-600000
გადავადებული საგადასახადო აქტივი			0
სხვა სრული შემოსავალი		1608824.22	1608824.22
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრისათვის	11923	1066621.12	1078544.12
კაპიტალის ცვლილება	-1922.39		-1922.39
გაცემული/მიღებული დივიდენდი		-15000	-15000
გადავადებული საგადასახადო აქტივი			0
სხვა სრული შემოსავალი		3803.5	3803.5
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	10000.61	1055424.62	1065425.23

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 02 აქტემბერს.

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი: -



შპს "DMS"

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) ორგანიზაცია და საქმიანობა

შპს "DMS"-ის ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის გამოსაცემად დამტკიცდა დირექტორის 2020 წლის 02 სექტემბერს გადაწყვეტილების შესაბამისად.

შპს "DMS" (შემდგომში კომპანია), საიდენტიფიკაციო ნომრით 404868728, წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, დაფუძნებულს 2010 წლის 30 აგვისტოს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. მის იურიდიულ მისამართს წარმოადგენს საქართველო, თბილისი, ყაზბეგის ქ.47. ფაქტიური მისმართია - თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71.

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს არასაცხოვრებელი ფართების მშენებლობა და რემონტი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებელია შპს „ნიუ ნათი“ (სკ 204554712) 100% -იანი წილით.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

ბ) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნის ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზები ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა და განიცდის ცვლილებებს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის წინასწარ განსაზღვრული შეფასებებისგან.

2. მომზადების საფუძველი

ა) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტერთა საერთაშორისო სტანდარტების მსს (ფასს) შესაბამისად.

ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

კომპანიაში ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის მიზნით დანერგილია ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიები, კერძოდ, ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა „ორის ბუღალტერია“. პროგრამაში უზრუნველყოფილია ოპერაციების სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა ბუღალტრული ანგარიშგების მიხედვით.

გ) სამუშაო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს. მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში, ლარში.

დ) შეფასებებისა და მსჯელობის გამოყენება

ფინანსური ანგარიშგების მსს (ფასს)-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მისი მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მეოთხე შენიშვნაში.

ე) საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას განჭვრეტად მომავალში. აღნიშნული პრინციპი

განსაზღვრავს არა მხოლოდ საწარმოს განზრახვას გააგრძელოს ფუნქციონირება, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, არამედ მის უნარსაც.

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური დოკუმენტაციის მომზადებისას კომპანიამ იხელმძღვანელა შემდეგი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკით:

კლასიფიკაცია მოხდა მოკლევადიანი/გრძელვადიანობის მიხედვით

კომპანია წარმოადგენს აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, რომელიც ეფუძნება მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციას.

- თუ მოსალოდნელია ან განზრახულია მათი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის დროს;
- ინახება უპირველესად სავაჭრო მიზნებისათვის;
- თუ მისი რეალიზაცია იგეგმება, საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში;
- ფულადი სახსრები ან მათი ექვივალენტები, რომელთა გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დაფარვისთვის არ არის შეზღუდული საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი.

ვალდებულება არის მიმდინარე, როცა:

- მოსალოდნელია, რომ დაიფაროს ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის დროს.
- უპირველესად სავაჭრო მიზნებისათვისაა.
- უნდა გადახდილ იქნას საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში.
- თუ ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტების გადაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გადახდა შეზღუდული არ არის საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანად მიიჩნევს. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირდება გრძელვადიან აქტივებად და ვალდებულებებად.

ა) ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ქვემოთ მოცემული შეცვლილი სტანდარტები კომპანიისთვის ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არსებითი გავლენა არ ჰქონიათ კომპანიაზე:

- ფასს 16, „იჯარა“ (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
აღნიშნულმა სტანდარტმა არ მოახდინა გავლენა კომპანიაზე, რომელიც დეტალურად განხილულია ქვემოთ.
- ფასიკ 23 - „განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით“ (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარიდან).
- ავანსის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით - ცვლილებები ფასს 9-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ფასს-ების წლიური გაუმჯობესებების 2015-2017 წწ. ციკლი - ცვლილებები ფასს 3-ში, ფასს 11-ში, ასს 12-სა და ასს 23-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 დეკემბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ფასს 16 - იჯარა

ფასს 16 „იჯარა“ ანაცვლებს იჯარის შესახებ არსებულ ბასს 17-სა და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს, 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული პერიოდებისათვის. კომპანიისათვის ფასს 16-ის საწყისი გამოყენების თარიღი არის 2019 წლის 1 იანვარი.

ფასს 16-ში საიჯარო და მომსახურების კონტრაქტები ერთმანეთისგან განსხვავდება იმის მიხედვით, აკონტროლებს თუ არა მოცემულ აქტივს კლიენტი. საოპერაციო იჯარის (არასაბალანსო) და ფინანსური იჯარის (საბალანსო) განსხვავებები უქმდება და ნაცვლდება მოდელით, რომლის მიხედვით გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი და შესაბამისი ვალდებულება, ყველა სახის იჯარის შემთხვევაში, უნდა აღიაროს იჯარის მიმღებმა (ანუ ყველა საბალანსო იჯარისა). აღნიშნული არ ეხება დაბალღირებულებიანი აქტივების იჯარებსა და მოკლევადიან იჯარებს.

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი თავდაპირველად აისახება თვითღირებულებით, შემდგომში კი (გამონაკლისების გათვალისწინებით) თვითღირებულებისა და დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის სხვაობით, რომელიც საიჯარო ვალდებულების ნებისმიერი

გადაფასებისას კორექტირდება. საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აისახება აღიარების დღეს გადაუხდელი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით. ამის შემდგომ საიჯარო ვალდებულება კორექტირდება პროცენტისა და საიჯარო გადახდების ოდენობით, აგრეთვე, სხვა ფაქტორთა შორის, იჯარის ცვლილების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ცვლილება ეხება ფულადი ნაკადების კლასიფიკაციას, რადგან ბასს 17-ით გათვალისწინებული საოპერაციო იჯარის გადახდები საოპერაციო ფულად ნაკადებში აისახება; მეორე მხრივ, ფასს 16-ის მოდელით, საიჯარო გადახდები იყოფა ძირითად და პროცენტის ნაწილებად და, შესაბამისად, შედის ფინანსური და საოპერაციო ფულადი ნაკადების გაანგარიშებაში.

იჯარის მიმღების ბუღალტრული აღრიცხვისგან განსხვავებით, ფასს 16 მნიშვნელოვნად არ ცვლის ბასს 17-ის მოთხოვნებს და ამლევს საშუალებას იჯარის გამცემს იჯარა ან საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად ჩაითვალოს.

კომპანიამ შეისწავლა ფასს 16 „იჯარა“-ის გამოყენების ეფექტი (ხელშეკრულება შეიცავდა თუ არა იჯარას და გამოყენების პერიოდის განმავლობაში გააჩნდა თუ არა ორივე შემდეგი უფლება: ა) ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთელი სარგებლის მიღების უფლება; და ბ) იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება), რომელმაც გავლენა არ მოახდინა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის და რომლებიც კომპანიამ ნაადრევად არ შემოიღო არის შემდეგი:

- ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასსს-ის(ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს.

ამჟამად კომპანია ახორციელებს ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

- **ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების წარდგენის კონცეპტუალურ საფუძვლებში** (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

გადასინჯული კონცეპტუალური საფუძვლები მოიცავს ახალ თავს შეფასების შესახებ;

სახელმძღვანელო მითითებებს საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ;

გაუმჯობესებულ განმარტებებსა და სახელმძღვანელო მითითებებს - განსაკუთრებით ვალდებულების განმარტება; ასევე მნიშვნელოვანი საკითხების ახსნას, როგორცაა მაგალითად, ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით ზედამხედველობის, წინდახედულობისა და შეფასების განუსაზღვრელობის როლი.

- **საწარმოს განმარტება – ცვლილებები ფასს 3-ში** (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ცვლილებებში გადასინჯულია საწარმოს განმარტება. საწარმო შედგება რესურსებისა და პროცესებისაგან, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პროდუქციის წარმოების შესაძლებლობაში. ახალ სახელმძღვანელო მითითებებში მოცემულია ჩარჩო იმის შესაფასებლად, როდის არსებობს რესურსები და არსებითი პროცესები, მათ შორის ადრეულ ეტაპზე მყოფი საწარმოების შემთხვევაში, რომლებიც პროდუქციას არ წარმოქმნიან. როდესაც პროდუქცია არ იქმნება, საწარმოს სახით კლასიფიკაციისთვის საჭიროა ორგანიზებული სამუშაო ძალის არსებობა. „პროდუქციის“ განმარტება ისეთი ფართო აღარ არის და აქცენტი გაკეთებულია მომხმარებლებისთვის მიწოდებულ პროდუქციასა და გაწეულ მომსახურებაზე, რომელიც წარმოქმნის საინვესტიციო და სხვა შემოსავალს და არ შეიცავს დაბალი დანახარჯების ან სხვა ეკონომიკური სარგებლის სახით მიღებულ უკუგებას. აგრეთვე, საჭირო აღარ არის იმის შეფასება, ბაზრის მონაწილეებს შეუძლიათ თუ არა საჭირო ელემენტების ჩანაცვლება ან შეძენილი საქმიანობისა და აქტივების ინტეგრირება. საწარმოს შეუძლია „კონცენტრაციის ტესტის“ გამოყენება. შეძენილი აქტივები საწარმოს არ წარმოადგენენ, თუ ამ აქტივების ბრუტო რეალური ღირებულება არსებითად კონცენტრირებული არ არის ერთ აქტივში (ან მსგავსი აქტივების ჯგუფში). ამ სამომავლო ცვლილებებს კომპანია გამოიყენებს და შეაფასებს მათ გავლენას 2020 წლის 1 იანვრიდან.

- **არსებითობის განმარტება – ცვლილებები ბასს 1-სა და ბასს 8** (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური

პერიოდებისთვის). ამ ცვლილებებით უფრო ნათლად არის ჩამოყალიბებული არსებითობის განმარტება და ახსნილია, როგორ შეიძლება მისი გამოყენება, რაც ადრე ამ ფასს-ის ტექსტში იყო მოცემული ახლა კი განმარტებაშია ასახული. ამასთან, გაუმჯობესებულია განმარტების თანმხლები ახსნა. დასასრულს, ცვლილებებით უზრუნველყოფილია არსებითობის განმარტების თანმიმდევრულობა ყველა ფასს-ში. ინფორმაცია არსებითია, თუ მისი გამოტოვების, უზუსტობის ან ბუნდოვნად წარდგენისას შეიძლება გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელი იყოს იმ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა, რომლებსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები იღებენ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, სადაც ასახულია ფინანსური ინფორმაცია კონკრეტული საანგარიშგებო საწარმოს შესახებ. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

- **საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის რეფორმა-ფასს 9, ასს 39 და ფასს 7-ში შეტანილი შესწორებები (გამოშვებული 2019 წლის 26 სექტემბერს და ძალაში შესული იმ წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვრის შემდეგ).** შესწორებები გამოწვეული იყო ისეთი საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის ჩანაცვლებით, როგორიცაა LIBOR და სხვა შემოთავაზებული ბანკთაშორისი განაკვეთები („IBOR-ები“).
- **Covid-19-თან დაკავშირებული კონცესიები – შესწორებები ფასს 16-სთვის**
გამოცემულია 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია 2020 წლის 1 ივნისს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

ბ) შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლის აღიარება

- შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა და შესაძლებელია მათი საიმედოდ შეფასება. შემოსავალი ფასდება ანაზღაურებული ან ასანაზღაურებელი საკომპანსაციო თანხის საბაზრო ღირებულებით, კონტრაქტით განსაზღვრული გადახდის ვადისა და დასაბეგრი თანხის გათვალისწინებით. შემოსავლის მიღებისას კომპანია ხელმძღვანელობს კონკრეტული კრიტერიუმებით იმისათვის, რომ განსაზღვროს შემოსავალი, მიღებული ძირითადი თუ არაძირითადი საქმიანობიდან.

- შემოსავლის აღიარება ხდება დარიცხვის პრინციპით, კომპანიის მიერ შესაბამისი კანონმდებლობისა და რეგულირების ფარგლებში, როდესაც შემოსავლის თანხაშესაძლოა საიმედოდ შეფასდეს და სავარაუდოა, რომ ოპერაციებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება.

ხარჯების აღიარება

- კომპანია გასწევს ხარჯებს საქმიან წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.
- ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და შესაძლებელია კავშირი შემოსავალთან მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯების აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით.
- ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

ც) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი (GEL). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აღიარდება ეროვნულ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად გადახდილი ავანსების გათვალისწინებით.

მიღებული და გადახდილი ავანსები არ გადაფასდება.

საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური

გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოშობილი საკურსო სხვაობები აღიარდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გაცვლითი კურსები	საქ. ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს	2.8677	3.2095
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს	2,6766	3,0701

d) გადასახადები

i. მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „კომპანია“ იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი „კომპანიის“ მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი).

„კომპანიის“ მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება.

სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმოშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

ii. დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯების და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ ეს კონკრეტული (შემოსავალი, ხარჯები და აქტივები) მიეკუთვნება დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავლები, ხარჯები და აქტივები დღგ-ის ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულ ბრუნვას მიეკუთვნება, მათი გათვალისწინება ხდება თვითღირებულებაში.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებითი ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მიმდინარე გადასახადების დავალიანების მუხლში.

iii. საშემოსავლო გადასახადი

„კომპანია“ იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით -20%. საშემოსავლო გადასახადი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია მიმდინარე გადასახადების დავალიანების მუხლში.

e) ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების, აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ცვეთის გამოითვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

შენობები	20-დან 50 წლამდე
მანქანა -დანადგარები და მძიმე ტექნიკა	5-დან 10 წლამდე
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	3-დან 5 წლამდე

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში მოგება-ზარალში.

ფ) არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. ეს ღირებულება ბიზნეს - გარიგების დროს გულისხმობს მათ რეალურ ღირებულებას შეძენის დღეს. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღიარდება დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა ფასდება განუსაზღვრელი ან განსაზღვრული ვადით.

განსაზღვრული ვადის არამატერიალური აქტივები ამორტიზდება მთელი თავისი ეკონომიკური მომსახურების ვადის განმავლობაში და ფასდება გაუფასურებაზე, როდესაც ამის ნიშნები ვლინდება. ამორტიზაციის პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი განსაზღვრული ვადის არამატერიალური აქტივისთვის გადაიხედება სულ ცოტა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. ცვლილებები სასარგებლო მომსახურების ვადაში ან აქტივში განივთებული მომავალ ეკონომიკური სარგებელში, აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის ცვლილებით, აისახება რა ეს საბუღალტრო აღრიცხვის შეფასებებში. განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯების კატეგორიაში არამატერიალური აქტივის ფუნქციის შესაბამისად.

განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება 15%-ით, მისი განუსაზღვრელი ვადა გადაიხედება ყოველწლიურად იმის განსასაზღვრად, აგრძელებს თუ არა

იგი განუსაზღვრელი ვადით ფუნქციონირებას. თუ არ აგრძელებს, მაშინ სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვლება განუსაზღვრელიდან განსაზღვრულ ვადამდე სამომავლოდ.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება მიღებულ წმინდა სარეალიზაციო თანხასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით და მისი აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გ) ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტები არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას, ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური ინსტრუმენტების შედგება:

- ფინანსური აქტივებისაგან
- ფინანსური ვალდებულებებისაგან

კომპანიის ფინანსური აქტივები დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები,
- დებიტორული დავალიანება.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად.

- კრედიტორული დავალიანება
- აღებული სესხები

ფინანსური აქტივი აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი ორივე კრიტერიუმი:

ა) ბიზნეს მოდელის ამოცანაა ფინანსური აქტივის ფლობა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით, და

ბ) საკონტრაქტო ფულადი ნაკადები მოცემულ ინსტრუმენტთან დაკავშირებით წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი აღიარდება რეალური ღირებულებით სხვა საერთო შემოსავალში ასახვით თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი ორი კრიტერიუმი:

ა) ბიზნეს მოდელის ამოცანაა ფინანსური აქტივის ფლობა, როგორც საკონტრაქტო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით ასევე გასაყიდად, და

ბ) საკონტრაქტო ფულადი ნაკადები მოცემულ ინსტრუმენტთან დაკავშირებით არ წარმოადგენს მხოლოდ ძირითად თანხისა და პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი აღიარდება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით, თუ იგი არ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

ფინანსური ვალდებულებები:

ფინანსური ვალდებულებები იყოფა ორ ჯგუფად: ამორტიზირებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით.

ყველა ფინანსური ვალდებულება ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით გარდა შემდეგისა:

ა) ფინანსური ვალდებულებები რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით. ამგვარი ვალდებულებები, როგორცაა გასაყიდად არსებული აქტივები და წარმოებული ვალდებულებები, სამომავლოდ აღირიცხება რეალური ღირებულებით. ბ) პირობითი საფასური, რომელიც აღიარებული იქნა მყიდველის მიერ ბიზნეს კომბინაციის ფარგლებში, რომელსაც ეხება ფასს 3. ამგვარი პირობითი საფასური სამომავლოდ აღირიცხება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით.

გ) ფინანსური გარანტიისა და სესხის საბაზრო პროცენტზე მცირე განაკვეთით გაცემის ვალდებულების კონტრაქტები. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ამგვარი კონტრაქტის გამცემი აღრიცხავს მას როგორც უდიდესი შემდეგს შორის: 1. დანაკარგის რეზერვი 2. თავდაპირველად აღიარებულ თანხას მინუს კუმულატიურად აღიარებული შემოსავალი ფასს 15-ის მიხედვით.

თავდაპირველი აღიარება

საწარმომს ფინანსური აქტივი, ან ფინანსური ვალდებულება უნდა აღიაროს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმო ხდება ინსტრუმენტის საკონტრაქტო პირობების მონაწილე, როდესაც საწარმო თავდაპირველად აღიარებს ფინანსურ აქტივს, ან ფინანსურ ვალდებულებას, მისი კლასიფიცირება უნდა მოხდეს ზემოაღნიშნული პრინციპების შესაბამისად.

საწარმო ფინანსურ აქტივს აღიარებს მისი რეალური ღირებულებით, პლუს -იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის აღრიცხული რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით, -გარიგების ის დანახარჯები, რომელიც უშვალოდ მიეკუთვნება ფინანსური აქტივის წარმოშობას.

საწარმო ფინანსურ ვალდებულებას აღიარებს მისი რეალური ღირებულებით, მინუს-იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ვალდებულება არ არის აღრიცხული რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით, -გარიგების ის დანახარჯები, რომელიც უშუსალოდ მიეკუთვნება ფინანსური ვალდებულების წარმოშობას.

შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარების დროს ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციის გათვალისწინებით, შემდგომი შეფასებისათვის გამოყენებული იქნება სხვადასხვა მოდელები.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ფინანსური ინსტრუმენტი აღირიცხება:

- ა) ამორტიზებული ღირებულებით
- ბ) რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით
- გ) რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით.

ამორტიზირებული ღირებულება

როდესაც ინსტრუმენტი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, მისი მოგება ან ზარალი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშში, როდესაც:

ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა

აქტივი გაუფასურდება

ხდება აქტივის მოდიფიკაცია

ხდება ამორტიზაცია (პროცენტის დარიცხვა)

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებები რეალური ღირებულებებით მოგებაში ან ზარალში ასახვით:

აღირცხება რეალური ღირებულებით:

რეალური ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

მაგრამ ფინანსური ვალდებულებებისათვის, რომელთაც საწარმო აირჩევს, რომ აღრიცხოს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, რეალური ღირებულების ოფციის გამოყენებით, საკუთარ საკრედიტო რისკის ცვლილებებთან დაკავშირებული ცვლილებები რეალურ ღირებულებაში ცალკე უნდა იქნეს წარდგენილი სხვა სრულ შემოსავალში. ეს იმას ნიშნავს, რომ ვალდებულებების რეალური ღირებულების ცვლილებების ელემენტები იყოფა და ცალკე ხდება მისი წარდგენა: ცვლილებები საკუთარ საკრედიტო რისკში წარდგენილი იქნება სხვა სრულ შემოსავალში, ხოლო რეალურ ღირებულებაში ყველა სხვა ცვლილებები წარდგენილ უნდა იქნეს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

საკუთარ საკრედიტო რისკთან დაკავშირებული სხვა სრული შემოსავლის თანხები არ გადაიტანება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც ამ ვალდებულების აღიარება შეწყდება და რეალიზებული იქნება თანხები. ეს შეესაბამება ფასს 9-ის მოთხოვნებს, რომლითაც იკრძალება წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული იმ ინვესტიციის გადატანა მოგება ზარალში, რომლის შეფასება ხდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. თუმცა, სტანდარტით ნებადართულია კაპიტალის მუხლებს შორის გადატანა და ამდენად, ის საწარმოები, რომელთაც, მაგალითად, სურთ რეალიზებული ნაშთების გაუნაწილებელ მოგებაში გადატანა, შეუძლიათ ამის გაკეთება.

ფინანსური ვალდებულებები აღრიცხული ამორტიზებული ღირებულებით :

- აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით
- ღირებულებაში ცვლილებები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებები არ უნდა იქნეს რეკლასიფიცირებული.

h) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე.

სასაქონლო მატერიალური მარაგები შედგება გასაყიდ საქონელს, ნედლეულსა და მასალებს, მზა პროდუქციასა და სხვა მარაგებს.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს შემენის, კონვერსიის (გადამუშავების) დანახარჯებს და სხვა ხარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია პროდუქციის შექმნასთან.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ხარჯად აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდება მისგან მისაღები შემოსავლის საიმედოდ შეფასება. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის ნებისმიერი თანხა, აგრეთვე სასაქონლო მატერიალური მარაგების დანაკარგის თანხები, შესაბამისად, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როცა მოხდაჩამოწერა ან აღგილი ჰქონდა დანაკარგებს.

i) ფულადი სახსრები და მოკლევადიანი დეპოზიტები

ფინანსური სახსრები და მოკლევადიანი დეპოზიტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და კომპანიის სალაროში არსებულ თანხებს, ასევე მოკლევადიან დეპოზიტებს, რომლებიც არანაკლებ სამი თვისაა.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებისთვის, ფულადი სახსრები ან მათი ექვივალენტები შედგება ფულადი სახსრებისა და მოკლევადიანი დეპოზიტებისგან, მიმდინარე საბანკო ოვერდრაფტების გამოკლებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

j) დივიდენდების განაწილება

კომპანია აღიარებს დამფუძნებლების წინაშე დივიდენდის ფულადი ან არაფულადი სახით განაწილების ვალდებულებას, როდესაც დივიდენდი უკვე გამოცხადებულია. შესაბამისი ღირებულება აღიარდება პირდაპირ კაპიტალში. არაფულადი განაცემები ფასდება გასანაწილებელი აქტივების საბაზრო ღირებულებით. ასეთ შემთხვევაში, ნებისმიერი სხვაობის თანხა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გასანაწილებელი აქტივების საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება შემოსავლად მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

k) მოთხოვნების გაუფასურება

კომპანია რეგულარულად ამოწმებს თავის დებიტორულ დავალიანებებს გაუფასურების შეფასების მიზნით. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოსათვლელად იგი იყენებს შეფასების საკუთარ მეთოდს, როდესაც ისტორიული მონაცემი მოიპოვება და ფინანსური პრობლემები აქვს მსგავს დებიტორებთან დაკავშირებით.

m) ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის შეფასებები და ვარაუდები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტისგან განსჯას, შეფასებებს, ვარაუდებს, რომლებიც ეხება შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებულ თანხებს, თანმხლებ ახსნა-განმარტებით შენიშვნებს და პირობით ვალდებულებებს. გაურკვევლობა ამ ვარაუდებისა და შეფასებების შესახებ, შესაძლოა, დასრულდეს ისეთი შედეგით, რომელიც მოითხოვს აქტივისა ან ვალდებულების საბალანსო ღირებულების არსებით მატერიალურ კორექტირებას მომავალში.

ძირითადი ვარაუდები დაკავშირებული შეფასების გაურკვევლობის მომავალ ან სხვა მნიშვნელოვან წყაროსთან დასკვნის თარიღისთვის, რომლებსაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი რისკი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მატერიალური კორექტირება მომდევნო ფინანსურ წელს, აღწერილია ქვევით. გახადოს საჭირო მხრივ მომავალ წელს. კომპანია შეფასებებსა და ვარაუდებს აკეთებს იმ პარამეტრების საფუძველზე როდესაც ფინანსური ანგარიშგება მომზადდა. არსებული გარემოებები და ვარაუდები მომავალი განვითარების შესახებ შესაძლოა შეიცვალოს ბაზრის ან გარემოებათა ცვლილებასთან ერთად, რომლებსაც კომპანია ვერ აკონტროლებს. ასეთი ცვლილებები გავლენას ახდენს ვარაუდებზე მაშინ, როცა ის იჩენს თავს.

შპს "DMS"

ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

5. ძირითადი საშუალებები ღირებულება ან გადაფასებული თანხა

მთლიანი საბალანსო ღირებულება	მწვა	შენიშ- ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	არამატერიალური აქტივები	სულ
მთლიანი საბალანსო მდგომარეობა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1473009	208914	136,191	123356	65,998	4865	2,012,333
შემოსვლა 2018 წელს			0	3,490	0	185	3,675
გასვლა 2018 წელს			0	0	0	0	0
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,473,009	208,914	136,191	126,846	65,998	5,050	2,016,008
შემოსვლა 2019 წელს		22698	25982	347	0	0	49,027
გასვლა 2019 წელს			0	0	0	0	0
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,473,009	231,612	162,173	127,193	65,998	5,050	2,065,035
ცვლილება გაუფასურება							0
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		-580.32	-113,925	-117704	-29453	-4658	-266,320
დარიცხვა 2018 წლის განმავლობაში	0	-6964	-10,958	-3,976	-3,336	-186	-25,420
გასვლა 2018 წელს	0	0	0	0	-	-	0
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	0	-7,544	-124,883	-121,680	-32,789	-4,844	-291,741
დარიცხვა 2019 წლის განმავლობაში		-7720	-6,501	-3,517	-3,336	0	-21,074
გასვლა 2019 წლის განმავლობაში			0	0	-	-	0

შპს "DMS"

ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	0	-15,264	-131,384	-125,197	-36,125	-4,844	-312,815
წმინდა საბალანსო ღირებულება							
1 იანვარი 2018 წელი	1,473,009	208,334	22,266	5,652	36,545	207	1,746,013
31 დეკემბერი 2018 წელი	1,473,009	201,370	11,308	5,166	33,209	206	1,724,267
31 დეკემბერი 2019 წელი	1,473,009	216,348	30,789	1,996	29,872	206	1,752,220

შპს "DMS"

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

შენიშვნა: 6

გადახდილი ავანსები

	31.12.2017	31.12.2018	31.12.2019
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	49578.64	21368.85	493127.12
სულ	49578.64	21368.85	493127.12

ანგარიშებაში ასახული ავანსები (როგორც გაცემული, ასევე მიღებული) ასახულია დღგ-ს გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ვერ ხდება აღნიშნულ ოპერაციაზე დღგ-ს ჩათვლა.

შენიშვნა: 7

საბიუჯეტო გადასახდელები

	31.12.2017	31.12.2018	31.12.2019
საგადასახადო ვალდებულებები	165540.09		14572.02
სულ	165540.09	0	14572.02
წინასწარ გადახდილი გადასახადები		66604.63	
სულ	0	66604.63	0

შენიშვნა: 8

მარაგები

	31.12.2017	31.12.2018	31.12.2019
ნედლეული და მასალები	313667	47200	64740
სულ	313667	47200	64740

სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს ყველა იმ დანახარჯს, რომელიც გაიწია მათ შესაძენად და დანიშნულების ადგილამდე მოსატანად. დაუმთავრებელი მშენებლობა (წარმოება) გარდა აღნიშნული დანახარჯებისა მოიცავს აგრეთვე გაუნაწილებელ საწარმოო ზედნადებ ხარჯებსა და იმ მუშახელის შრომის ანაზღაურებას, რომელთა შრომაც დაკავშირებულია უშუალოდ საწარმოო საქმიანობასთან.

შპს "DMS"

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

შენიშვნა: 9

დებიტორული დავალიანება

	31.12.2017	31.12.2018	31.12.2019
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	522642.17	4630881.38	2421588.45
სულ	522642.17	4630881.38	2421588.45

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე მომსახურების ხელშეკრულებებით კომპანია თითოეულ დამკვეთს ავალდებულებს რომ საკონტრაქტო ღირებულების გარკვეული ნაწილი გადაიხადოს ავანსის სახით.

შენიშვნა: 10

ფულადი სახსრები

	31.12.2017	31.12.2018	31.12.2019
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	8399	18053	59327
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	812280	14411	503774
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	229	6597	5757,31
სულ	820908	39061	568858,31

11. კაპიტალი

2017 წლის 31 დეკემბრისთვის მდგომარეობით არსებული საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს 11923 ლარს, 2018 წლის 31 დეკემბრისათვის საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 11923 ლარი, ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრისათვის საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 10000 ლარი. კომპანიის საწესდებო კაპიტალი შევსებულ იქნა დამფუძნებლების მიერ ეროვნულ ვალუტაში, ლარში და დივიდენდებსაც ლარში მიიღებენ.

კომპანიის დაარსების დღიდან ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე არც წილობრივი მონაწილეობა დამფუძნებელთა და არც მათი შემადგენლობა არ შეცვლილა.

შპს "DMS"

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

კომპანის საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი შეადგენს 0,2 2019 წლის 31 დეკემბრისათვის. მოცემული კოეფიციენტი გვიჩვენებს, რომ კომპანია ნაწილობრივ დამოკიდებულია გარეშე წყაროებზე, სესხებზე.

შენიშვნა: 12

მიღებული ავანსი

	31.12.2017	31.12.2018	31.12.2019
მიღებული ავანსი მოკლევადიანი	2329648.89	1566301.02	2084.95
სულ	2329648.89	1566301.02	2084.95

მყიდველებისგან მიღებული ავანსები კლასიფიცირებულია მოკლევადიან ვალდებულებებში, რადგან კომპანია ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას 12 თვეზე ნაკლებ დროს მოანდომებს. მიღებული ავანსები ნაჩვენებია დღგ-ს გარეშე.

შენიშვნა: 13

სავაჭრო და სხვა კრედიტ დავალიანება

	31.12.2017	31.12.2018	31.12.2019
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	103671.59	1048715.9	629522.29
სულ	103671.59	1048715.9	629522.29

შენიშვნა: 14

შემოსავალი რეალიზაციიდან

	31.12.2018	31.12.2019
შემოსავალი რეალიზაციიდან	11049773	5032133
შემოსავალი გაყიდული ნედლეული და მასალიდან	653643	998540
საიჯარო შემოსავალი	28703	41297
სულ	11732119	6071970

მომგებიანობის კოეფიციენტები:

საერთო მოგების მარჟა, რომელსაც საწარმო აწესებს რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების საფუძველზე და მოსალოდნელია რომ, გონივრულობის ფარგლებში მუდმივი დარჩება.

შპს "DMS"

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

დასაბეგრი მოგების მარჟა, მასზე უფრო მეტი ფაქტორი ახდენს გავლენას ვიდრე საერთო მოგების მარჟაზე და ამ კუთხით საინტერესოა კომპანიისათვის.

მომგებიანობის კოეფიციენტები

	2018	2019
საერთო მოგების მარჟა	20%	13%
საოპერაციო მოგების მარჟა	13%	1%

შენიშვნა: 15

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	31.12.2018	31.12.2019
ძირითადი მასალების დანახარჯები/შეძენა	-8915220	-4339887
გაყიდული/შეძენილი საქონელი	-538126	-950597
სულ	-9453346	-5290484

შენიშვნა: 16

ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები

	31.12.2018	31.12.2019
შრომის ანაზღაურება	-380370	-336775
საოფისე ხარჯი	-801	-332
საპენსიო ხარჯი		-25396
დაზღვევის ხარჯი	-1,323	-2540
სატრანსპორტო საშუალებების	-95,280	-43866.19
შენახვის ხარჯი		
იჯარის ხარჯი	-28,640	-24,285
კომპიუტერის ხარჯები	-792	-587
ცვეთა და ამორტიზაცია	-25,421	-21,073
ბანკის მომსახურება	-6,646	-4,565
საჯარო რეესტრის მომსახურების	-78	-62
ხარჯი		
სამეურნეო ხარჯი		
კომუნალური დანახარჯები	-3,685	-6,988
კომუნიკაციის ხარჯი	-59	-1,206
მივლინების ხარჯი	-17,905	
საკანცელარიო ხარჯი	-681	-1060

შპს "DMS"

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

იურიდიული და სხვა საკონსულტაციო მომსახურება	-1,368	-2,066
საგადასახადო ხარჯი	-5,383	-5,413
გადახდილი ჯარიმები	-3,931	-3,293
კონვერტაციის ხარჯი	-11,994	-14,417
საპროცენტო ხარჯი	-126,603	-337,478
სხვა საოპერაციო ხარჯი	-2996	-2,972
სულ	-713,955	-834,374

შენიშვნა: 17

არასაოპერაციო შემოსავალი

	31.12.2018	31.12.2019
საპროცენტო შემოსავალი	68069,61	190370,2
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	285	3346
სულ	68354,61	193716,2

შენიშვნა: 18

წმინდა მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან
და გადაფასებებიდან

	31.12.2018	31.12.2019
დადებითი საკურსო სხვაობა	115933	138653
უარყოფითი საკურსო სხვაობა	-223959	-290727
სულ	-108026	-152074

25. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, როდესაც კომპანია ვერ ასრულებს გადახდის ვალდებულებებს ნორმალურ გარემოში. ლიკვიდურობის რისკი იმართება ფულადი ნაკადების მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზით, ასევე ამ პროგნოზებისა და არსებული ფულადი სახსრების მონიტორინგით.

მოკლევადიანი ლიკვიდობის კოეფიციენტით იზომება მიმდინარე აქტივების ადეკვატურობა ვალდებულების დაფარავის შესაძლებლობის თვალსაზრისით. ამ კოეფიციენტის მაღალი დონე შეიძლება უსაფრთხო ჩანდეს მაგრამ ყურადღება მისაქცევია არ იყოს განპირობებული დებიტორების ან მარაგების მაღალი დონით. რაც შეეხება სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტს

შპს "DMS"

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

მარაგებს გამორიცხავს და საწარმოს უფრო მკაცრად აფასებს-აქვს თუ არა მას საკმარისი რესურსი დებიტორული დავალიანება და ფულადი რესურსი რომ დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები.

ლიკვიდურობის კოეფიციენტები:

	2018	2019
მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	1,11	1,25
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	0,92	0,82

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

დარგში საბაზრო ფასის ცვლილების ტენდენცია დადებითია, შესაბამისად კომპანიის საბაზრო რისკი მინიმალურია.

სავალუტო რისკი

კომპანიას დამკვეთებთან დადებული ხელშეკრულებები აქვს ლარში. ამსთანავე, შესყიდვების ძირითად ნაწილს ახორციელებს ლარში, თუმცა სესხი აქვს დოლარში, რაც წარმოშობს სავალუტო რისკებს და შესაბამისად კომპანიას აქვს უარყოფითი საკურსო სხვაობა.

შპს "DMS"

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

კაპიტალის მართვა

	2018	2019
დაბანდებული კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი (ROCE)	49%	1%

ფორმულაში გამოყენებულია საოპერაციო მოგება და გვიჩვენებს საოპერაციო მოგების წილს კაპიტალთან მიმართებაში.

26. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო პირობითი ვალდებულებები საქართველოში

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მისთვის დამახასიათებელია კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილება, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია „კომპანიას“ დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან 3 წელია გასული.

ზემოთხსენებული საგადასახადო ვითარებები ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

27. დაკავშირებული მხარეები

შპს „DMS“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

დაკავშირებული მხარეების მიხედვით, მხარეები დაკავშირებულად ითვლებიან, იმ შემთხვევაში, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორის ფინანსურ ან ძირითად გადაწყვეტილებებზე. აქცენტი კეთდება ურთიერთობის არსსა და არა - სამართლებრივ ფორმაზე.

დაკავშირებულმა მხარეებმა შესაძლოა ერთმანეთთან დადონ გარიგება, რაც არ შეუძლიათ დაუკავშირებელ მხარეებს, ხოლო ტრანზაქციებზე დაკავშირებულ მხარეებს შორის, შესაძლოა, გავლენა არ მოახდინოს იგივე წესებმა და პირობებმა, რაც დაუკავშირებელ მხარეებს შორის მოქმედებს ხოლმე.

„კომპანიის“ დაკავშირებულ მხარეს წარმოადგენს შპს „ნიუ ნათი“ რომელიც ფლობს ანგარიშვალდებული საწარმოს 100%-ს.

ასევე კომპანიის დაკავშირებული მხარეები არიან შპს „გრინი“, შპს „ქლინ ლაინი“, შპს „ნიუ ნათი+“. მათ ყველას საერთო დამფუძნებელი ჰყავთ - შპს „ნიუ ნათი“.

გიორგი სამაგლიშვილი - დირექტორი.

	დაკავშირებული მხარეები	ოპერაციების შინაარსი
შპს „ნიუ ნათი“	კომპანიის დამფუძნებელი (100% იანი წილის მფლობელი)	აღნიშნულ დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებულია სესხის გადახდის ოპერაცია. სათაო საწარმოს აქვს განხორციელებული კაპიტალის შევსების და შემცირების ოპერაციები. გაიცემა დივიდენდი.
გიორგი სამაგლიშვილი	კომპანიის დირექტორი	აღნიშნულ დაკავშირებულ მხარესთან გაიცემა ხელფასი, როგორც დირექტორზე

შპს "DMS"

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

შპს „გრინი“,	ჰყავთ საერთო დამფუძნებელი	აღნიშნულ დაკავშირებულ მხარესთან არ განხორციელებულა სამეურნეო ოპერაციები
შპს „ქლინ ლაინი“	ჰყავთ საერთო დამფუძნებელი	აღნიშნულ დაკავშირებულ მხარესთან არ განხორციელებულა სამეურნეო ოპერაციები
შპს „ნიუ ნათი+“	ჰყავთ საერთო დამფუძნებელი	აღნიშნულ დაკავშირებულ მხარესთან არ განხორციელებულა სამეურნეო ოპერაციები

დაკავშირებული მხარეების ოპერაციები	2019
გაყიდვები	0
შესყიდვები	0
დივიდენდები	15000
კაპიტალის ცვლილება	1922
ხელფასები	38763
წილის შესყიდვა	0
დაკავშირებული მხარეები ნაშთები	
დებიტორული დავალიანება	0
ვალდებულებები	0

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები

შპს "DMS"

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

COVID-19. 2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ინფორმაცია ახალი ვირუსის, სახელწოდებით COVID-19 (კორონავირუსი), შესახებ. საანგარიშგებო წლის ბოლოსთვის უცნობი ვირუსის მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა ეცნობა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას. 2020 წლის დასაწყისში ვირუსი გავრცელდა მსოფლიო მასშტაბით, რამაც ბიზნესზე ნეგატიური გავლენა მოახდინა. მენეჯმენტი განიხილავს აღნიშნულ მოვლენას საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენად. მიუხედავად იმისა რომ ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის კომპანიის გაყიდვებისა და შესყიდვების პროცესში მოცემულ შემთხვევას არ ქონია რაიმე არსებითი გავლენა, მისი სამომავლო ეფექტის პროგნოზირება შეუძლებელია. მენეჯმენტი განაგრძობს შესაძლო ზემოქმედების მონიტორინგს და მიიღებს ყველა შესაძლო ზომას რათა მოხდეს ამ რისკების მინიმუმამდე დაყვანა.

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

